პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 23 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 113 (811) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, მაისის 25-ს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) მოწვეულია ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. მიმდინარე საანგარიშო წლის 1-ლი ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## მტკიცედ გეჭიროს იარაღი ხელში!

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება ამხ. ფრუნზეს სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა საბჭოების მესამე ყრილობაზე. ეს სიტყვა მრავალ მხრივ საყურადღებოა და ჩვენმა წითელ-არმიელებმა კარგად უნდა გაარჩიონ და შეითვისონ ის.

ამ მოხსენებიდან ჩვენ ვტყობილობთ თუ როგორ იზრდება სამხედრო ძლიერება კაპიტალისტურ ქვეყნების, თუ რა გამალებით ადიდებენ იმპერიალისტები თავის შეიარაღებულ ძალებს, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირთან უშუალოდ მოსაზღვრე სახელმწიფოები. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ყველა ეს მზადებანი უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად მიმართული არიან ჩვენს წინააღმდეგ. „ამიტომაც, ამბობს ამხ. ფრუნზე, ამიერიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს ჩვენ ბევრად უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ვიდრე დღემდი იყო“. აი მთავარი და ძირითადი მის სიტყვაში. ყრილობამ სავსებით გაითვალისწინა ეს დებულება და კიდეც გამოიტანა სათანადო დადგენილება, რომლის გატარება ცხოვრებაში სავსებით უზრუნველჰყოფს ჩვენი თავდაცვის საქმის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას. რეზოლუციაში ნათქვამია „**ყრილობა ავალებს მთავრობას სათანადო მზრუნველობას წითელ არმიაზე, წითელ საჰაერო და საზღვაო ფლოტებზე, ახსოვს რა, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების ფაქტიური სიძლიერე არის ძირითადი გარანტია მშრომელთა სახელმწიფოზე თავდასხმის წინააღმდეგ.**“ ამრიგად საბჭოთა ქვეყნის უზენაეს ორგანომ დაავალა მთავრობას ყოველ მხრივ უზრუნველჰყოს წითელი არმიის ნორმალური პირობები ნაყოფიერი და წარმატებითი მუშაობისათვის.

ეხლა ჯერი თვით წითელ არმიაზეა. გაასკეცებული ენერგიით და ძალით წითელ-არმიელებმა, მეთაურებმა და პოლიტ-მომუშავეებმა უნდა შეუდგენ წითელი არმიის რიგების მეტი განმტკიცებას და გასალკდევებას. საბჭოთა კავშირმა ჩვენ ჩაგვაბარა მისი საზღვრების და ხელშეუხებლობის დაცვა.

ყოველ საჭირო მომენტში წითელ-არმიამ პირნათლად უნდა შეასრულოს ეს დიდი ვალება!

ამიტომაც ის მუდამ მზად უნდა იყოს და იარაღი მაგრად უნდა ეჭიროს ხელში.

დეე მტერმა იცოდეს, რომ წითელი არმია მხნედ სდგას ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე და არავის ნებას არ მისცემს შებღალოს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა უფლებები!

ყოველ საათს, ყოველ დღეს ვიზრუნოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარის აწევაზე და მის რიგების განმტკიცებაზე.

## „ფინანსიური ბლოკადის ცდები.“

„პრავდას“ წერილი.

„რამდენადაც უდაო ხდება საბჭოთა კავშირის ფინანსიური და ეკონომიური გაძლიერება, იმდენად აშკარა ხდება კაპიტალისტური ქვეყნების მინისტრებისა და კაპიტალისტებისათვის, რომ მათი იმედი-საბჭოთა კავშირს დაამარცხებს სამეურნეო დაბრკოლებებით-უკვე გაცრუებულია.

ბურჟუაზიული ქვეყნების პასუხისმგებელი პოლიტიკური ხელმძღვანელები უკვე გრძნობენ, რომ მოუხერხებელია საბჭოთა კავშირის დამარცხება იარაღით და ამ ბოლო დროს გაფაციცებით ეძებენ გზებს, რომლებიც საშუალებას მისცემენ შეავიწროვონ საბჭოთა კავშირი, შეაფერხონ საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის აღორძინება.

ასეთ ახალ საშუალებათ იმათ ვითომც გამონახეს ფინანსიური ბლოკადის გეგმა,

ეჭვს გარეშეა, რომ სწარმოებს ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის ფინანსიურად შევიწროების მიზნით.

ფინანსიური ბლოკადის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ბანკებს, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის საქმიანი, საკრედიტო და ფინანსიური კავშირის ჩაშლით, ხელს შეუშლიან საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობაზე დაკვრით, კაპიტალისტური შეთქმულები ლახვარს ჩასცემდენ მთელ სამეურნეო მდგომარეობას საბჭოთა კავშირს შიგნით.

ეს ვერაგული გეგმა დღესვე უნდა იქნას ფარდა ახდილი ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა მასების წინაშე. თუმცა ფინანსიურ ბლოკადას საეჭვოა, რომ წარმატებითი შედეგები მოყვეს.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობაზე ზიანის მიყენება იმავე დროს სერიოზული ლახვარი იქნებოდა იმ ქვეყნების მეურნეობისათვის, რომლებიც აწარმოებენ ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან.

ცდები—შეაფერხონ საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოძრაობა, აუცილებლად ზიანს მოუტანს კაპიტალისტურ ქვეყნების მეურნეობას, გაუძნელებს მათ საქონლის გასაღების საქმეს, გამოიწვევს კრიზისს მრეწველობაში და გააძლიერებს უმუშევრობას“.

# ახალი რადიოგრამები

## მუსოლინი იტალია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

იტალიის სენატში გამართულ კამათის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო, მუსოლინიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა.

სხვათა შორის ის შეეხო იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და განაცხადა:

„ეჭვი არავის შედის იმაში, რომ ჩვენმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში სარგებლობა მოიტანა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ იტალიის კომუნისტების ძალა სუსტია და ცოტა მიმდევრები ჰყავს მუშებში. მე არ მგონია, რომ საბჭოთა მთავრობას სურდეს თავისი დიპლომატიურ მდგომარეობის შელახვა.



მუსოლინი.

მე გულწრფელად ვაცხადებ, რომ იტალიის მთავრობას არაფერი უნახავს თავის საწინააღმდეგო იტალიაში მყოფ რუსეთის დიპლომატიურ და სავაჭრო წარმომადგენლების მოქმედებაში.

იმედი მაქვს, რომ ასეთი ურთიერთობა შემდეგშიაც გაგრძელდება.

მე განზრახული მაქვს გამოვიდე პალატაში განცხადებით საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების სასარგებლოდ.“

## ინგლისის საზღვაო ძალთა დემონსტრაცია.

ინგლისის ფლოტის მომავალ მანევრების შესახებ ბალტიის ზღვაზე, სამხედრო-საზღვაო აკადემიის უფროსმა ქერვემ განაცხადა:

„ბალტიის ზღვაზე ინგლისის ფლოტის გამოჩენა ეს არის ინგლისის საზღვაო ძალთა დემონსტრაცია პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის მიმართ, და შემდეგ-დემონსტრაცია იმ ზღვაზე, რომელზედაც დიდი ხანია სურდა ინგლის თავისი გავლენა გაევრცელებია.

ინგლისის ფლოტის ესკადრა, რომელმაც უნდა შემოიაროს ეხლა ბალტიის ნავთსადგურები, ცხადია, წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც ინგლისი გამოიყენებს ბალტიის ზღვაზე ურთიერთობის გართულების შემთხვევაში.

## მდგომარეობა მაროკოში.

### აჯანყებულები შეუპოვრად იბრძვიან.

ჰავასიის სააგენტოს ცნობის თანახმად მაროკოში შემდეგი მდგომარეობაა:

გენერალ კოლომბის რაზმმა, არტილერიისა და ჰაეროპლანების საშუალებით წარმატებითი ბრძოლის შემდეგ გაათავისუფლა კიბანი და მოამარაგა ის სურსათ სანოვაგით. აჯანყებულებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. საბრძოლო ოპერაციებს ხელს უშლის ტყიანი ადგილები და აგრეთვე აჯანყებულთა მიმაცობა და კარგი ორგანიზაცია.

## ამერიკა აუენებს გერმანიის საბჭოთა ბაზარზე გასვლის პროექტს.

შეერთებულ შტატების სავაჭრო პალატების ყრილობაზე ორატორები აღნიშნავდენ აერთაშორისო კონკურენციის დამღუპველ როლს საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

მათი აზრით გერმანიამ და სხვა შეერთებულ შტატების ევროპიელ მოვალეებმა უნდა გაიტანონ თავისი საექსპორტო ნაწარმოები ახალ ბაზრებზე, რომ ამით აიცილონ ამერიკის მრეწველების კონკურენცია არსებულ ბაზრებზე.

მომავალ საერთაშორისო სავაჭრო პალატათა ყრილობაზე, რომელიც მოწვეულ იქნება ბრიუსელში, მათ განზრახვა აქვთ აღადგინონ საბჭოთა ბაზარი გერმანიის ექსპორტისათვის, რომ მით აიცილონ გერმანიის კონკურენცია ამერიკის გარეშე ბაზრებზე.

თუმცა ორატორებს არაფერი უთქვამს საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ როსტას კორესპონდენტს აქვს ცნობა, რომ საერთაშორისო საქმიანი წრეები ხელს უწყობენ გასვლას საბჭოთა ბაზარზე.

## საგადასახადო შეღავათები წითელ-არმიელებს.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატმა რევსამხსაბჭოსთან შეთანხმებით შემოიღო შემდეგი წესი წითელ-არმიელებზე საგადასახადო შეღავათის მინიჭების საქმეში:

არმიის ყველა ნაწილებს მიეცათ განკარგულება საჩქაროდ დაამზადონ ერთი ფორმის მოწმობები, შეავსონ ის სათანადო ცნობებით და დაუგზავნონ წითელ—არმიელთა ოჯახებს.

გადასახადების გადამხდელები, რომელთა რიცხვში არიან წითელ არმიელებიც, წარადგენენ ამ მოწმობებს სათემო აღმასკომებში, რომლებიც მოწმობის მიხედვით ვალდებული არიან მიანიჭონ წითელ-არმიელებს დაწესებული შეღავათები.

## საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა.

21 მაისს შესდგა საკავშირო საბჭოთა ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა. პრეზიდიუმში არჩეული არიან ტომსკი, სმირნოვი, რუძუტაკი, ივანოვი, ჩუბარი, ლუკაშინი, ახუნბაბაევი და ატამაევი.

საკავშირო საბჭოს მდივნად არჩეულია ივანოვი.

**ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმი.**

იმავე დღეს შესდგა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა: პრეზიდიუმში არჩეული არიან: ანდრეევი, ულლანოვი, კულბიშეროვი, სკრიპნიკი, სტარი, ცხაკაია, კუშაევი, ევდოკიმოვი, ქილუნოვიჩი, ეროვნულ საბჭოს მდივნად-კულბიშეროვი.

# ამხ. ფრუნზეს მოხსენება.

**სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე, 19 მაისს.**

## მეტი ყურადღება თავდაცვის საქმეს.

4 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რომ ყრილობამ უკანასკნელად მოისმინა მოხსენება წითელი არმიის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში მის ცხოვრებაში, ჯარების ორგანიზაციასა, სწავლებაში და მატერიალურ ყოფა-ცხოვრების პირობებში მოხდა ღრმა ცვლილებათა მთელი რიგი. საკმარისია მოვიგონოთ ის, რომ ამ ხნის განმავლობაში სამოქალაქო ომის ეპოქის 5—ილიონიან არმიიდან ჩვენ გადავედით მშვიდობიან დროის 562 ათასიან ძირითად (კადრი) არმიაზე.

თქვენ მოისმინეთ რიკოვის მოხსენება, მოისმინეთ ჩვენი საერთაშორისო ცხოვრების მთელი რიგი ფაქტები, მათი დახასიათება და ის დასკვნა, რომელიც გააკეთა მათ შესახებ რიკოვმა.

ამ დასკვნაში გამოიხატებოდა ის, რომ დღეს ჩვენ თავდაცვის საქმეს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინემ დღემდის. ამ დასკვნას მე ვუერთდები სავსებით და მთლიანად.

**საერთაშორისო ბურჟუაზია ომისთვის ემზადება.**

მართლაც თანამედროვე მსოფლიო მდგომარეობის—საერთოდ, და კერძოდ ჩვენი კავშირის მდგომარეობის მიუდგომელი ანალიზი (შეფასება) გვაიძულებენ ჩვენ სერიოზულად გავუწიოთ ანგარიში საერთაშორისო ცხოვრების იმ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელ თვეებში. მე არ ვილაპარაკებ თქვენ მიერ ცნობილ ფაქტებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან ჰელსინგფორსში მომხდარ ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციასთან, იმავე ქვეყნებში გენერალურ შტაბების კონფერენციასთან რიგაში, მცირე ანტანტის კონფერენციასთან ბუქარესტში და სხვა; არ ვილაპარაკებ აგრეთვე იმ გააფთრებულ დევნის ფაქტზებზე, რომელსაც აწარმოებს ბურჟუაზიული პრესა საბჭოთა კავშირისა და კომინტერნის წინააღმდეგ.

**ფაქტების ღაღადი.**

მე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ფაქტები დღითი-დღე მრავლდება. აი ის ფაქტები, რომლებიც მე აღვნიშნე უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში. ჩვენ ვხედავთ, რომ რუმინეთში ამ დღეებში გამოქვეყნებულ იქნა ცნობა არმიის გადიდების შესახებ 25 პროც. იმავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ რუმინეთმა პოლონეთში შეისყიდა 40.000 რუსული შაშხანა და 42 მილიონი ვაზნა და მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკასთან კიდევ 20 მილიონი ვაზნის ყიდვის შესახებ.

პოლონეთმა ამ დღეებში დაუკვეთა მანტიე დე-ლალუარის ქარხნას სამი ნაღმოსანი და 6 წყალ-ქვეშა ნავი. პატარა ესტონეთიც კი გაფაციცებით იარაღდება და, როგორც გაზეთები გადმოქვცემენ, ამ მიზნებისთვის ღებულობს ინგლისისაგან ათ მილიონიან სესხს.

ამხანაგებო! სხვათა შორის ამ დღეებში თქვენ წაიკითხეთ გაზეთებში, რომ ესტონეთის მთავრობა ვითომც უთმობდეს დიდ ბრიტანეთს ეზელსა და დაგეს. არ ვიცი რამდენად მართალია ეს ცნობა. ყოველ შემთხვევაში ეს შესაძლებელია.

თუ მართლაც ინგლისის ფლოტი დამკვიდრდება ეზელისა და დაგეს კუნძულებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის დრედნოუტებს შეეძლება 24 საათის განმავლობაში თავი ამოჰყონ კრონშტადტისა ან ლენინგრადის კედლებთან, ხოლო სამხედრო ფლოტი კი ნახევარ საათში დაიწყებს პაპაშს ჩვენი ლენინგრადის ფაბრიკებისა და ქარხნების თავზე. თქვენ იცით, რომ ჩვენთვის ეს სულ ერთი არ არის. რით ამართლებენ ჩვენი მეზობლები ამ შეიარაღებას? იმათ მიზეზად მოჰყავთ საბჭოთა შეიარაღების ზრდა და საფრთხე წითელი იმპერიალიზმის მხრივ.

**ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს სიმართლეში.**

ჩვენ მზად ვართ სიამოვნებით მივანდოთ ყველა სადაო საკითხების გადაჭრა ისტორიის მშვიდობიან მსვლელობას.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ბრძოლაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და ბურჟუაზიულ — პარლამენტარულ სისტემებს შორის, გამარჯვება უსათუოდ ჩვენს მხარეზე იქნება.

ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვართ მზად უარვყოთ არგუმენტაცია (დასაბუთება დამტკიცება) იარაღის საშუალებით, რაიც ჩვენ დავამტკიცედ მთელ რიგ პოლიტიკური გამოსვლებით. ამას ადგილი ჰქონდა ჰააგაში, გენუაში, და ბოლოს, მოსკოვში, სადაც ჩვენი წინადადება განიარაღების შესახებ ჩაშლილ იქნა სწორედ პოლონეთის მიერ. ამ რიგად ეს მითითებანი უნდა მიმართულ იქნას პირუკმო.

საკმარისია რომელიმე ჩვენმა ამხანაგმა აღნიშნოს ყურადღების საჭიროება საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში, რომ მთელი უცხოელი პრესა აყაყანდეს, რომ საბჭოთა კავშირი ომისთვის ემზადებაო. თუ რომ ვერ აღმოაჩინეს ჩვენში სამხედრო ტონი, მაშინ ამბობენ, რომ ეს მშვიდობიანი ტონი განგებ აუღიათ, რომ დაჰფარონ თავიანთი საომარი ზრახვებიო და ასე დაუსრულებლივ. ასეთ მდგომარეობის გამო შეუძლებელია დაარწმუნო უცხოელი სახელმწიფოები ჩვენს მშვიდობიან განწყობილებაში.

ჩვენ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ რა შეიარაღებული ძალა ჰყავს ამა თუ იმ სახელმწიფოს. ამ ციფრების შედარება ჩვენს შეიარაღებულ ძალთა ციფრებთან თვალსაჩინოდ ამტკიცებს იმას თუ ვინ არის გამსჭვალული საომარი ზრახვებით.

**მსოფლიო კაპიტალი თოფქვეშ სდგას.**

1913 წელს-მილიტარიზმის უაღრესად განვითარების დროს, მსოფლიოს უმთავრეს სახელმწიფოების ქვეყნებში თოფქვეშ იდგა 5.759.000 კაცი.

ხოლო 1925 წელში თოფქვეშ დგას 5.232000 კაცი; ამ რიცხვში არ შედის ახლად წარმოშობილ სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები.

თუ ჩვენ ერთის მხრივ ანგარიშს გაუწევთ იმას, რომ ამ 5.759.000-ში შედიოდა იმპერიალისტურ ომში დამარცხებულ სახელმწიფ. 1.129.000 ჯარის კაცი, (ამ სახელმწიფოებს ჰყავს ეხლა 198.000) და მეორეს მხრივ იმას, რომ ძველი მეფის არმიაში იმყოფებოდა 1.350.000 ჯარის კაცი, რომლის მაგივრად ჩვენს კავშირს ჰყავს 552.000 კაცი, დავინახავთ, რომ გამარჯვებულმა და ნეიტრალურმა ქვეყნებმა გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხების შემდეგ, ინტერესთა წინააღმდეგობის თანდათან გაძლიერების გამო, გააძლიერეს თავიანთი არმიები 1.183000 კაცით.

მთავარ სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტშიც ასეთივე სურათია. სამხედრო ფლოტიც ამასვე ამტკიცებს. ამ ჟამად საფრანგეთს ჰყავს 6.114 ჰაეროპლანი, ინგლისს 3.450, იტალიას—1.700, ამერიკას—3.800 პოლონეთს—498, რუმინეთს—257.

ჩვენი წითელი სამხედრო ფლოტის შესახებ მე გავჩუმდები, მაგრამ ვიტყვი ერთს, რომ ის, სამწუხაროდ არ განირჩევა რაოდენობით ჩვენი დასავლეთელი მეზობლების საჰაერო ძალებისაგან.

წითელი არმიის რაოდენობა უფლოტოდ უდრის 529.000, ეს 133.000-თ ნაკლებია ვინემ საფრანგეთის, და 17.000-თ ნაკლებია ვინემ ჩვენი უახლოესი მეზობლების არმიებში.

ჩემ მიერ გამოქვეყნებული ციფრები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ ცნობების მნიშვნელობას, რომელიც მე თქვენ გაგაცანით და უნდა გაუწიოთ ანგარიში იმ პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა ტერიტორიის საზღვრებს გადაღმა: დღეს უსათუოდ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქვეყნის თავდაცვის საქმეს, ვიდრე დღემდის.

**რა პრინციპებზე შენდება ჩვენი თავდაცვის სისტემა.**

როგორია ჩვენი წითელი არმიის დღევანდელი მდგომარეობა? რამდენად შეუძლია უზრუნველყოს მან დღევანდელ გარემოებაში ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობიანობა?

ყოველი ქვეყნის თავდაცვის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს იმ გარემოებას, თუ რამდენად მოსალოდნელია ამ ქვეყნისათვის გარეშე ქვეყნებთან შეტაკება.

შეტაკებათა ხასიათი უნდა შევაფარდოთ ჩვენ სამ ძირითად მომენტის საფუძვლებზე: 1) მისი სოციალურ—კლასობრივი ხასიათის, 2) მტრების რაოდენობისა და მათი ძალთა რაოდენობის მიხედვით, 3) მათი ტეხნიკურ ძალების მიხედვით, რომლებიც შეიძლება და უნდა გამოყენებულ იქნან მომავალ ომებში.

პირველ საკითხს სჭრის ჩვენი სახელმწიფოს ხასიათი. ჩვენი სახელმწიფო მუშათა და გლეხთა სახელმწიფოა. ჩვენში ბატონობს შრომა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ შევებრძოლებით იმ სახელმწიფოს, სადაც გაბატონებულია შრომა.

ჩვენს შინაურ პოლიტიკაში ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვაშენებთ ჩვენს არმიას კლასობრივ—სოციალურ პრინციპზე.

მეორე საკითხზე პასუხს იძლევა ისევე ჩვენი სახელმწიფოს ხასიათი. ჩვენი სახელმწიფო დღემდის ერთად ერთი მუშურ-გლეხური სახელმწიფოა მთელს დედამიწაზე. ჩვენი ასეთი განცალკევება გვაიძულებს თავისებურად დავაყენოთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის საკითხი. ჩვენ უნდა გვყავდეს ისეთი არმია, რომელსაც შეეძლებოდეს საჭიროების დროს დაიცვას ჩვენი ქვეყნის საზღვრები ყველა მიმართულებით. რაც შეეხება ბრძოლის ტეხნიკურ საშუალებებს, აქ ანგარიში უნდა გაუწიოთ წარსულ იმპერიალისტურ ომის გამოცდილებას. ეს გამოცდილება ამბობს, რომ არავითარი შეიარაღებისა და მოწყობილობის მარაგი არ გეყოფა საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად. ყველაფერი ეს დახარჯულ იქნება პირველ ხანებში—მაშინ, როცა ომი ხანგრძლივ ხასიათს მიიღებს.

აი რისთვის მდგომარეობს ჩვენი ამოცანა იმაში, რათა ისე ავაგოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა და ისე მოვმართოთ ჩვენი ეკონომიკა, რომელიც ჯერ კიდევ მშვიდობიან დროსაც ანგარიშს უწევდეს თავდაცვის საჭიროებას.

**ძირითად არმიისა და მილიციონურ სისტემის შეუღლება.**

ჩვენ სამხედრო აღმშენებლობას საფუძვლად უდევს მუდმივი ძირითადი არმიისა და მილიციის შეუღლების პრინციპი.

ყოველწლიურად იზრდება გასაწვევი ჰასაკის ახალგაზრდობის რიცხვი 1.200.000 კაცით. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ სამხედრო სამსახურისათვის ფიზიკურად უვარგისებს დარჩება 800-850 ათასი კაცი.

რომ გამოვაკლოდ მეთაურთა, პოლიტიკური შემადგენლობა, ორწლიანი სამსახურის ვადაში, არმიის რიგებში შეგვიძლია გავატაროთ მხოლოდ 270.000 კაცი. გამოდის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ნახევარ მილიონ ახალგაზრდობის მომზადება.

# სამხედრო საქმე.

## შენიღბვის სწავლება.

**ლაშქრული წესით მოძრაობის დროს.**

**წერილი მეორე,**

**(ნიღაბ-მანევრების გამოცდილების მიხედვით).**

შენიღბვის (დაფარვის) საუკეთესო საშუალება გაშლილ ადგილებში—ეს არის ღამით მოძრაობა. მაგრამ თუ აუცილებელია დღისით მოძრაობა, მიღებულ უნდა იქნას ზომები მოძრაობის დასაფარავად, როგორც ჰაერიდან, ისე მიწიდან თვალთვალისაგან.

ლაშქრული წესით მოძრაობის დროს მოგიხდება იხმარო უმთავრესად ბუნებრივი შენიღბვის ზომები ერთგვარი ტეხნიკურის დამატებით.

ქვეითი ჯარის გზებზე მოძრაობის დროს მეომრებს შეუძლიათ იარონ გზის განაპირა თხრილებით, თუ ასეთები დაჩრდილული არიან და საერთოდ იარონ ხეების, ღობეებისა და შენობების მოფარებით. მწვანე ნიღაბ—ხალათის, ან უბრალო მწვანე დოლბანდის ნაჭერი, რომელიც დაჰფარავს თავს, მხრებს და ჩანთას—ეს საუკეთესო შენიღბვაა მსროლელისთვის. ნიღაბ—მანევრაზე მოძრაობის დროს ერთ განყოფილებას, რომელიც მოძრაობდა მწკრივად გზის განაპირად, გადაფარებული ჰქონდა გრძელი და ვიწრო მწვანე დოლბანდის ზოლი.

ამის გამო თვითმფრინავიდან გადაღებულ სურათზე განყოფილების გარჩევა შეუძლებელი შეიქმნა. მაგრამ საუკეთესო ხერხი თავის მოძრაობის დასაფარავად ტყით მოძრაობაა, თუ პირობები ხელს გიწყობს.

თუ მტრის თვით მფრინავები არ სჩანს, ცხენოსანთა რაზმი მოძრაობს ჩვეულებრივი წესით; მაგრამ ჰაეროპლანების გამოჩენისთანავე, პატარა ნაწილების მოძრაობა უმთავრესად სწარმოებს თხრილებით ცალფა წყობილებით. გაშლილი ადგილები უნდა გაირბინონ ნავარდით. დასასვენებლად შეჩერების დროს ცხენები და მეომრები მოეფარებიან ხეებს, ღობეებს, შენობებსა და სხვა. წყალის სასმელად ცხენები გაჰყავთ მორიგეობით—2—3 ცხენი ერთად.

არტილერიის მოძრაობის დროს ბუნებრივი შენიღბვის გამოყენება მეტად ძნელი საქმეა. არტილერიას შეუძლია მოძრაობა გზის განაპირებით ისე, რომ ლანდი იარაღებისა და ცხენების უნდა ხვდებოდეს დაჩრდილულ თხრილებში.

მტრის თვითმფრინავების გამოჩენის დროს არტილერიის მოძრაობის შეჩერება ვერ აღწევს მიზანს.

დისტანციის შემცირება ქვემეხებსა და შებმულობას შორის ან და ორ-ორი ქვემეხებით კოლონებად მოძრაობა არ არის მიზანშეწონილი.

დასვენების დროს ქვემეხები და სამუხტე ყუთები თავსდებიან ხეებზე მოფარებით (ჩრდილში), შენობებს შორის და გადაიხურებიან დოლბანდით.

ბუჩქნარ ადგილებით მოძრაობის დროს სასარგებლოა ქვემეხების დაფარვა (შენიღბვა) მწვანე ტოტებით.

საზარბულეები მოძრაობის დროს უნდა სარგებლობდენ ხეების, ბაღების, ღობეების შენობების ჩრდილით და სხვა.

მტრის თვითმფრინავების გამოჩენისთანავე, საზარბულეების ერთი ნაწილი უნდა გადავიდეს გზის განაპირად და გაჩერდეს. თეთრი ცხენები დაფარულ უნდა იქნან მწვანე ტილოებით.

დასვენების დროს საჭმელის ან ცხელი წყლის დარიგების დროს, სასარგებლოა რიგში მდგომი მეომრები გადახურულ იქნან მწვანე ტილოებით.

ი. ბაჩ.

# სამხედრო ქიმია.

## გაზებისაგან თავდაცვა.

საბრძოლო გაზებით მოწამვლის თავდაცვის საშუალებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მეომრის **ზედმიწევნითი დახელოვნება ზაიგოს: გამძლე თუ არა გამძლე გაზებით არის მოწამლული ესა თუ ის რაიონი ან რომელი გაზით მოხდა თავდასხმა.**

ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ამის გამორკვევა შეუძლია მხოლოდ ქიმიკოს სპეციალისტს მაგრამ ეს სავსებით ასე არ არის. ყოველ დახელოვნებულ და დაკვირვებულ მეომარს ერთგვარი გამოცდილების შემდეგ შეუძლია დამახლოებით იცნოს გამძლე გაზი ზოგიერთ ნიშნებათა და თვისებით.

მაგალითად თუ თვალყურს ადევნებს ახლად დაკავებულ რაიონს, რომელსაც რამოდენიმე დღეა არ დასცემია მტრის ყუმბარები და ხედავს, რომ ამ რაიონში უჩინარ მიზეზის გამო იხოცებიან ფრინველები ან წვრილი ცხოველები (თაგვები, ვირთხები, კურდღლები, მწერები, და სხვა), ან ჭკნებიან და კარგავენ ფერს ყვავილები და მცენარეები, მეომარს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს ესა თუ ის დასკვნა, რომ ეს რაიონი მოწამლულია გამძლე თუ არა გამძლე გაზით.

ასეთივე დაკვირვებას ზამთარში შეუძლია გვაჩვენოს მაგალითად შემდეგი: თოვლის ქვეშიდან ამოირბენს თაგვი და კვდება.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ამტკიცებს, რომ თოვლი რამოდენიმე ხნით ადრე მოწამლული იყო გამძლე მომწამვლელი გაზით და ამ გაზის ორთქლი, ჩავიდა რა თანდათანობით თოვლს ქვეშ, თაგვის სოროში, გამოდევნა ის იქიდან, მოაწამლა და მოკლა. დაკვირვებულ მეომრის მიერ შემჩნეულ ასეთ ნიშნების მთელ რიგს, შეუძლია აჩვენოს, რომ მოცემულ რაიონში იმყოფება გამძლე საბრძოლო გაზი და რომ მეომრებს საფრთხე მოელის. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა იცოდე რომელ გაზთან გაქვს საქმე, არამედ მნიშვნელოვანია გაარკვიო მხოლოდ ის, რომ რაიონი მოწამლულია გამძლე გაზით. ხოლო ასეთი ცოდნა დაიფარავს მეომარს მოწამვლის საშიშროებისაგან და იმავე დროს მაუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მტრისათვის ეს რაიონი და რა ზომებს მიიღებს მტერი შემდეგში.

გამძლე გაზების გამოცნობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძაღლი.

ლ. ვორონოვი.

# ᲢᲔᲠᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გასული წლის ტერშეკრების გამოცდილებიდან.

ჩვენი კავშირის სხვა სამხედ- ოლქებში ჩატარებულ ტერ- კრების გამოცდილებამ დაგ- ნახა ზოგიერთი ნაკლი, რო- ლიც აფერხებდა მუშაობას წილებში.

რომ ეს ნაკლი არ გავიმეო- ოდ ჩვენს სინამდვილეში, რო- ჩვენ ვატარებთ ტერშეკრე- პირველად, საჭიროა მოვი- ნოდ ის ნაკლი და შევჩერ- ეთ მასზე. პირველ ყოვლისა ლ ბოროტებას წარმოადგენს ნებართვო წასვლა სამოსწავ- ო შეკრებიდან. ორი-სამი მე- ადინეობის გამოტოვება ჩა- აშლის ცვალებად არმიე- ს ნორმალურ სწავლებას; ის ან რჩება თავის ამხანაგებს ავლაში და, რასაკვირველია, მაობის შედეგი უარყოფითია. თა აღმოფხვრილ იქნას ეს როტება, გამოცემულია კა- ნი, რომლის ძალითაც ცვა- ებად არმიელის უნებართვოდ სვლა, რომელიც ორ დღეზე ტი გაგრძელდება, უდრის გა- ვას, დეზერტირობას. ხოლო ქცევისათვის დამნაშავე გადა- ემა სასამართლოს და საკმაო ტიკად ისჯება. ეს უნდა ახ- ვდეს ყოველ ცვალებად არ- ელს.

მეორე არა ნაკლებ ბორო- ებას წარმოადგენს განზრახ გვიანება შეკრების დასაწყი- ი. გარდა იმისა, რომ დაგვია- ბით ცვალებად არმიელი ჩა- რჩება მეცადინეობას, თუ ატი უკვე შეივსო მის გამო- აღებამდე, ის ხვდება პრო- ნტულ დამატებაში, რის გა- ც ხშირად თავისუფლდება შეკრების გავლისაგან. მეთაურების მიმართ გაცემუ- ა სათანადო განკარგულება, მელშიაც აღნიშნულია, თუ გორ უნდა ებრძოლონ ასეთ ვლენებს, სახელდობრ: პასუ- გებაში უნდა იქნას მიცემუ- არა მარტო ის, ვინც დაი- ანა, არამედ ის თანამდებო- პირებიც, რომლებიც ყო- ლგვარ კანონიერ საფუძვლს ეშე იძლევიან მოწმობებსა და ცნობებს ცვალებად არმიე- ლის შეკრებაზე დაგვიანების მიზეზების შესახებ.

მოსახლეობა წინასწარ უნდა იქნას გაცნობილი ამ განკარ- გულებებს.

მეორე უარყოფით მოვლე- ნას წარმოადგენს ხშირად ცვა- ლებად არმიელის მისწრაფება მოხვდეს როგორმე პროცენ- ტულ დამატებაში. ეს დამატება შემოღებულია იმ შემთხვევი- სათვის, თუ რომ ცვალებად შემადგენლობის პირები ავად- მყოფობისა ან სხვა მიზეზების გამო გამოაკლდება შეკრების დროს. ცვალებად არმიელი ფიქრობს, რომ, თუ მოხვდა ის ამ დამატებაში, გათავისუ- ფლდება შეკრების გავლისაგან. ხშირად ამით აიხსნება განზრახ დაგვიანება შეკრებაზე. საჭიროა შეკრებამდი აეხსნას და განემა- რტოს ცვალებად არმიელებს, რომ თუ პროცენტული დამა- ტება ამა თუ იმ მიზეზების გამო არ იქნა გაწვეული შეკრებაზე, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პროცენტულ დამატებაში მოხვედრილი ცვალებად არმი- ელი სრულიად თავისუფლდე- ბოდეს სამსახურიდან.

ბოლოს თავის ნებით წას- ვლას, ცვალებად არმიელთა— შეკრების ერთი რაიონიდან მეორეში გადანაცვლებასა და გადაყვანას მავნებლობა მოაქვს ტერნაწილების მუშაობაზე, ვი- ნაიდან იწვევს უწესრიგობას. ამ ჟამად სდგას დებულების გამომუშავების საკითხი ტერ- ნაწილებში სამსახურის გავლის შესახებ.

ამ დებულების გამოქვეყნე- ბამდი საჭიროა ყოველ ცალკე შემთხვევაში შემოღებულ იქ- ნას ერთგვარი წესი შეკრების ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანის შესახებ, თუ ეს აუ- ცილებელია.

აი მთავარ ნაკლთა მთელი რიგი. თავის დროზე მათი აცი- ლება ხელს შეუწყობს მომა- ვალ შეკრების წარმატებითი ჩატარებას.

პ.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ.

სადაც არ უნდა ვიყვეთ ყვე- ან უნდა გვახსოვდეს, რომ ველგვარ დავალებებს ფრ- ილად უნდა ვეკიდებოდეთ სინდისიერად ვასრულებდეთ ება ეს დავალება სამხედრო სამოქალაქო უწყებაში სულ თია.

თითეული ჩვენი ნაბიჯის დადგმა უნდა მოასწავებ- ს ჩვენი სახელმწიფოს აღო- ინებას და წინსვლას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ველი პატიოსანი, ენერგიუ- მშრომელი მუშა და გლე- ჩაბმულია სახელმწიფოს და მოდარაჯე წითელი ლაშქ- ს აღმშენებლობაში.

სწორედ ამიტომ თვითეულ ვანს გათვალისწინებული და ჰქონდეს, რომ მათზედ ვალებული საქმის შესრუ- ლებას მოითხოვს მუშურ-გლე- ხური სახელმწიფოს ინტერე- სები.

საუბედუროდ ეს დავალებე- ბი ზოგიერთ ადგილებში არ სრულდება ისე, როგორც ეს საჭიროა.

მათ მიერ ზემდგომ ორგა- ნიზაციების დავალებები არ სრულდება პირნათლად. ისინი ვერ იჩენენ მათ შესრულებაში საკუთარ ინიციატივა—თაოს- ნობას.

ზოგიერთ პირების მიერ შე- ქმნილია არა ნორმალური მდგომარეობა ჩვენს სამხედრო ნაწილებში. განსაკუთრებით შეეხება ეს წერტებს, რომე- ლიც გამოიხატება ამხანაგების ლოთობაში, რევოლვერების უთავბოლოდ სროლაში და სხვა.

აი ერთი ფაქტთაგანი, რომელსაც სამწუხაროდ ადგილი ჰქონია ჩვენს წერტში.

ერთ-ერთ ნაქეიფარ პიროვნებას გამოჰყავს წითელ არმიელები და თავის საპატივცემლოდ ჰაერში ასროლინებს.

ამ გარემოებამ ადგილობრივ მცხოვრებლებში გამოიწვია ერთგვარი არევ-დარევა.

სწრაფათ იარაღდებიან კომუნარები და მიეშურებიან მილიციისაკენ—თავდასხმა ხომ არ მოხდაო.

მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ წითელ არმიელები ისვროდენ, მეთაურის განკარგულებით, დაბრუნდენ თავ-თავიანთ სახლებში. ჰქონდა აგრეთვე ადგილი თავის დაჭრას სიმთვრალის გამო, რევოლვერის სროლას ჰაერში და სხვა. რაც სახელს უტეხს წითელ ლაშქარს და მის მეთაურებს.

ყოველივე ეს ჩაითვლება თუ არა ბოროტებად, უწესოებად და დეზორგანიზაციის შეტანად წითელ ჯარში?

რა თქმა უნდა ჩაითვლება და ჩაითვალა კიდეც. ყველა ამ ვაჟბატონებს პარტკომისიამ სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

ეს ვაჟბატონები მიცემული იქმნენ სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის სასამართლოში.

კომუნისტური პარტია და მუშურ გლეხური საბჭოთა ხელისუფლება არ აპატიებს არც ერთ ბოროტების ჩამდენ პიროვნებას თავის საქციელს. კომუნისტი იქნება ის თუ უპარტიო სულ ერთია, ბოროტების ჩამდენისათვის, მას ერთი და იგივე სასჯელი აქვს.

საჭიროა, ის ვინც საბჭოთა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საგუშაგოზე სდგას, პარტიული იქნება ის თუ უპარტიო, სინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა და ბოროტად ნუ გამოიყენებს, ფუქსავატურად ნუ მოიხმარს მას.

ამას ავალებს მათ საბჭოთა ხელისუფლება.

ეს უნდა ახსოვდეს ყველა სინდისიერ რევოლიუციონერს და მტკიცედ ატარებდეს მას ცხოვრებაში.

ტიგიშვილი.




## ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ"!

მე-6-სე მსროლელი ტერ-ლეგიონის პოლიტ-ხელებმა ამხ. ლორთქიფანიძემ და ასათიანმა გადასწყვიტეს აღარ მოსწიონ თამბაქო და იმ ფულით, რომელიც ეხარჯებოდათ მათ თამბაქოსათვის ყოველთვიურად გამოუწერონ თავიანთ სოფლებს გაზ. „წითელი არმიელი".

მე-6-სე ლეგიონის პოლიტ-შემადგენლობავ, მიბაძეთ ამხ. ლორთქიფანიძ ს და ასათიანის მაგალითს.

სამხკორი 110.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲙᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ.

გაერთიანებულ მეთაურთა სკოლა.

ჩვენი კურსანტები პრაქტიკულ მუშაობის შემდეგ ბანაკში ერთობიან სხვა და სხვა ფიზიკურ ვარჯიშობით. მართავენ: ფეხ-ბურთს, ხტომას, სირბილს, ჭიდაობას, ცეკვა—თამაშს, სიმღერებს.

შეღამდება თუ არა საბანაკო ბინები პატარა ქალაქებს წააგვანან, საიდანაც გაისმის მრავალნაირი სიმღერები და მუსიკის ხმები. ხშირად უყვართ კურსანტებს მომავალ გლეხების გაჩერება. ეკითხებიან: საიდან მოდის, რა მოაქვს, როგორ ცხოვრობს და რა უფრო აწუხებს მას.

შარშანაც იყო ასეთი შემთხვევები: პოლიტიკური საკითხებით უფრო დაინტერესებულ გლეხებს ამხ. კურსანტები კარავში მიიწვევდენ... მისთვის გასაგებ ენაზე ესაუბრებოდენ, მისცემდენ ჟურნალ—გაზეთებს და სხვა და სხვა დარიგებებით სავსებით კმაყოფილს გაისტუმრებდენ.

ასე იქნება წელსაც. შორი გზიდან (სოფლიდან) მოსულ სტუმარ გლეხებს ხშირად სადილითაც უმასპინძლდებიან ხოლმე!

საშეფო სოფლებზე მიმაგრებულმა კურსანტებმა უკვე და ათვალიერეს ისინი. მუშაობის განახლებას (უფრო გაფართოებული პროგრამით) სულ ახლო ხანში შეუდგებით.

საშეფო სოფლებს მიეცემათ მხოლოდ კულტურული დახმარება: გაიმართება სალამო წარმოდგენები; მოხსენებები, მიეცემათ შესაფერი ჟურნალ—გაზეთები და დარიგებები.

საკლუბო მუშაობის და სკოლის გარეშე სწავლების საწარმოო გეგმა შემუშავებულია. საკლუბო საბჭომ იგი 17 მაისს დაამტკიცა და მუშაობაც უკვე დაიწყო. პირველი სადამო გაიმართება 28 მაისს.

არის—ყველა სკოლების ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრის მზადება. ეს უნდა მოხდეს პირველ ივნისს.

ქართულ მეთაურთა სკოლას, როგორც სამხედრო სწავლებაში, აგრეთვე საკლუბო მასიურ მუშაობაშიაც კავშირი ექნება სხვა სკოლებთან და წითელი ჯარის ნაწილებთან.

სამხკორი ჩვენი.

## ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲡ.

ნაწილების საბანაკოთ გასვლის შემდეგ ზოგიერთი წითელ არმიელი დატოვებულ იქნენ თავიანთ ნაწილებში. 1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულშიც დაგვტოვეს რამოდენიმე კაცი, რომლებიც ყოველგვარ კმაყოფაზე მიწერილ იქნენ 1-ლ ლეგიონზე.

მაგრამ ეს გარემოება ვერ შეიქნა ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი, რადგან პირველი ლეგიონი ჩვენზე ძალიან შორსაა. ამითი ძნელდება ულუფის მიღება და ხშირათ გაუგებრობასაც აქვს ადგილი: 19 მაისს მივიღეთ მხოლოთ პური, მხოლოდ 20 მაისს კერძი მოგვცეს და პურზე კი გვითხრეს: თქვენი ხვედრი მესანგრე ასეულმა წაიღო.

სადილის მიღებაც რომ მოწესრიგდეს, დილას და საღამოს ჩაისთვის იქ სიარული ხომ ყოვლად მოუხერხებელია. ჩვენს ნაწილში კი ამისი შესაძლებლობა არა გვაქვს: არა გვაქვს შეშა, ჩაის ასადუღებელი, ჩაი, შაქარი და ჩხ.

საჭიროა ამ გარემოებას დროსე მიექცეს სათანადო ყურადღება ჩვენი ასეულის ხელმძღვანელებისაგან.

სამხკორი კუნსილვა.

## ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲜ.

1-ლ ლეგიონის უფ ექიმის საყურადღებოთ.

პირველ ლეგიონს აქვს საკუთარი საავადმყოფო. საექიმო პერსონალით და სხვა საჭიროებითაც საავადმყოფო თავის სიმაღლეზე სდგას, მაგრამ სჰეც სანიტარების უყოლობა საგრძნობლად აფერხებს საქმეს. სანიტარებათ გამოყოფილი არიან ასეულის წითელ-არმიელები, რომლებიც თითქმის ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

საერთო გულგრილობასთან ერთად ამ ამხანაგებმა არ იციან თავისი მოვალეობა, რაც ხელს უწყობს ლაზარეთში უსუფთაობის გავრცელებას და სხვა.

ავადმყოფების გამოძახილზე ეს ამხანაგები ძლიერ გვიან ან სულ არ მიდიან, თუ ძალით არ გამოაგზავნეს ექიმის თანაშემწეებმა.

საჭიროა ჩვენი საექიმო პერსონალი შეასწავლიდეს ამხანაგებს თავის მოვალეობას. ამას გარდა ისინი უყურადღებოთ არ უნდა იქნენ დატოვებული პოლიტ და კულტურულ ხასიათის მეცადინეობაში.

წ. არმიელი კნიცა.

## ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲣᲠᲘ!

ქართულ მეთაურთა სკოლის სამწყობრო გუნდის წითელ არმიელებს ამ უკანასკნელ ხანებში გვეძლევა ძლიერ ცუდი, დაობებული და ერთი კვირის ძველი პური. წითელ არმიელები იძულებული არიან სჭამონ ასეთი პური, რაც მოქმედობს კუჭზე და რაც იწვევს მუცლის ტკივილს და სხვა და სხვა ავათმყოფობას.

ასეთი პურის ჭამა ყოვლათ შეუძლებელია.

ვსთხოვთ სკოლის მესვეურებს მოგვაქციონ სასწრაფო ყურადღება და გაგვიუმჯობესონ პური.

წით. არმიელი კ. ლუხუტისპირელი.

## ᲝᲠᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ.

I

წითელ არმიელები ფაცაფუცში არიან, ემზადებიან გასამგზავრებლათ საშეფო სოფელში.

ალაგებენ დეკორაციებს, საჭირო ნივთებს წარმოდგენისათვის

აქ ერთი ამხანაგი სწერს გაცხარებით ლოზუნგებს, მეორე ალაგებს პლაკატებს და სურათებს დარბაზის მოსართავად.

—არ დაგავიწყდეს ქაღალდის და ფანქრების წამოღება, კომკავშირმა გვთხ ვა ამას წინად, იქ ხომ იცი შიმშილია ქაღალდის.

—აბა, ბიჭებო, ერთხელ კიდევ გავიაროთ რეპეტიცია, რომ არ შევრცხვეთ ხალხის წინაშე, წრეულს ეს პირველი წარმოდგენაა—მოუწოდებს ამხანაგებს დრამწრის ხელმძღვანელი. მომღერლებიც არ არიან უსაქმოთ მოუყრიათ თავი

ერთ კუთხეში და იმეორებენ სიმღერებს. უფრო კი ძალის ატანენ „ცანგალა და გოგონას“, აგრამ ყველაზე უფრო ჯაფაშია მომხსენებელი, იწერს თეზისებს და უნდა, რომ მისი მოხსენება ადვილი გასაგები იყვეს გლეხებისთვის და არჩევს შესაფერ სიტყვებს და ფრაზებს.

ყველაფერი მზად არის, ყველაფერი თავის რიგზეა. წასვლის დრომაც მოაღწია და წითელ-არმიელები მხიარულად, სიმღერით გაუდგნენ გზას.

II

სოფელში გავარდა ხმები, რომ საღამოს გვეწვევიან წითელ-არმიელები წარმოდგენების გასამართავათო.

ყველანი დაფაცურდნენ. ასუფთავებენ დარბაზს, რომელიც მიძინებული იყო მთელი ზამთრის განმავლობაში. ჰგვიან ეზოს, იქ გაიმართება ცეკვა—თამაში.

—აბა, ბიჭებო, მარდათ თქვენი ჭირიმე, მარდათ. დავასუფთაოთ აქაურობა, რომ არ შევრცხვეთ სტუმრებთან.

—ხალხს შეატყობინეთ დროზე რომ მოგროვდნენ სკოლაშიძლევა მანკარგულებას საბჭოს წევრი.

—კომკავშირელნო, მოიყარეთ თავი ერთად, სკოლის ბოლოში უნდა დავხვდეთ არმიელებს.

აგერ შორიდან მოისმა ორკესტრის ხმა. ახმაურდა სოფელი, ყველა გაეშურა ძვირფასი სტუმრების შესახვედრად. არავინ დარჩენილა სახლში.

„გაუმარჯოს გლეხების და წითელ-არმიელთა კავშირს და ძმობას“. -გაისმა ხალხში.

„გაუმარჯოს წითელ-არმიას“ -იგრიალა სოფელმა და მას შეუერთდა ინტერნაციონალის ალმაფრთოვანებელი ხმა.

ე. ხუციშვილი.

# პირველ ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის ცხოვრებიდან.

უკვე კარგა ხანია, რაც ჩვენი სკოლა დაარსდა, და მას შემდეგ მეცადინეობის საქმე ეხლაც არ შეფერხებულა. წითელ არმიელები თვალსაჩინოთ ითვისებენ ყველა საგნებს.

მეთაურთა შემადგენლობა დიდი გულმოდგინებით ეკიდება თავის საქმეს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ისინი ამოკითხვის შემდეგაც მოდიან ჩვენთან და აწარმოებენ ჯგუფური ხასიათის მეცადინეობას.

ამასთანავე ჩვენი მეთაურები თანაგრძნობით ეკიდებიან არმიელებისათვის ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხების გამორკვევისა და გაშუქების საქმეს, რაც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ამხანაგებში.

საერთოდ წითელ არმიელების საჭიროებებს სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა. ამაში სათანადო წვლილი შეაქვთ ჩვენს მეთაურებს, რისთვისაც ისინი დიდი მადლობის ღირსნი არიან.

სახკორი ივ. ბარელაძე.

# უცხოეთის ავიაცია.

**ამერიკამ გააძლიერა თავისი სამხედრო ფლოტი.**

ამერიკის სამხედრო საჰაერო ფლოტს ამ დღეებში უკვე შეემატა 80 ახალი სამხედრო ჰაეროპლანები.

ეს აპარატები დაჩქარებით იქნენ დამზადებული ამერიკის მიერ და უნდა ჩაითვალოს კონგრესზე მიღებულ რეზოლიუციის შედეგად, რომელიც დაჩქარებით მოითხოვდა რესპუბლიკის საჰაერო ძალების გაძლიერებას.

ყველა ახლად დამზადებული აპარატები ანვითარებენ საათში 210 კილომეტრის სიჩქარეს.

**უდიდესი ჰაეროპლანის პროექტი.**

საფრანგეთი ამ ჟამად ამზადებს ახალ სარეკორდო „შედევრს“.

ლიუდვიგ ბრეგემ (საფრანგეთის საუკეთესო ავიო ქარხნის მწარმოებელია) გაამზადა უზარმაზარ სატრანსპორტო-სამგზავრო ჰაეროპლანის პროექტი და განსახილველად წაუყენა მთავრობას.

ჰაეროპლანი გამოყენებული იქნება პარიზსა და ნიუიორკს შორის (ამერიკა) რეგულიარული მიმოსვლისათვის. მისი კონსტრუქტიული და ტექნიური თვისებები შემდეგია: სიგრძე—38 მეტრი. შეუძლია 80 კაცის წაყვანა, 18 კაცი მოსამსახურეთა პერსონალის და ხუთი ტონი (310 ფუთი) ბარგის წაღება.

ამასთანავე აპარატს თან მიაქვს 24 საათის განმავლობაში სამყოფი საწვავი მასალის მარაგი.

ჰაეროპლანის საერთო სიმძიმე მგზავრებით და ბარგით უდრის-24 ტონს (1.488 ფ.) მისი სიჩქარე საათში ედრება 280 კილომეტრს საათში,

აპარატი ეღირება 10.000.000 ფრანგული ფრანკი (800.000 მანეთი ჩვენებურად.)

ჰაეროპლანი ისე იქნება დამზადებული, რომ საჭიროების დროს შეიძლებოდეს ამ „ჰაერის ბეგემოტის“ სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება.

# საქართველოს ცაკში.

— **მიღებულია პროექტი** საქართველოს წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამმართველოს დაარსების შესახებ.

— **ცაკმა გადასცა** სახკომსაბჭოს დასკვნის გამოსატანათ, სოც. უზრ. კომისარიატის შუამდგომლობა აგვისტოს გამოსვლებში დაღუპულთა ოჯახებისათვის პენსიების მისაცემად 4.500 მანეთის გადადების შესახებ.

— **1905 წლის** რევოლიუციის 20 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლათ ცაკმა აირჩია კომისია ამხ. ამხ. მახარაძის, მ. კახიანის, თალაკვაძის, მარ. ორახელაშვილის, ბახტაძის, დარახველიძის, ყურულაშვილის, კანდელაკის, ღ. რუხაძის და ასრიბეკოვის შემადგენლობით.

# ამბები სოფლებიდან.

**ბანკი სენაკში.**

სენაკში, ახლო ხანში გაიხსნება ტფილისის კომუნალური ბანკის განყოფილება.

**სკოლის შეკეთება.**

სოფ. ვანთში (თელ. მაზრა) ადგილობრივი აღმასკომის თაოსნობით შეუდგნენ სკოლის შენობის შეკეთებას.

**მიკროსკოპიული სადგური.**

სენაკის აღმასკომმა გადასწყვიტა შეუდგეს ადგილობრივი მიკროსკოპიული სადგურის შეკეთებას.

**მცხოვრებთა შუამდგომლობა.**

სოფ. სალხინოს (სენ. მაზრა) თემის სოფ. ბალდის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს, სალხინოს თემიდან გამოწერისა და გაჭედილის თემზე მიწერის შესახებ.

**ავტომობილებით მიმოსვლა.**

გადაწყვეტილია ქუთაის-ონს შორის (რაჭა—ლეჩხუმზე) მოეწყოს ყოველდღიური საავტომობილო მიმოსვლა.

# ახალი ამბები.

— **სათესლე მასალის** შესაძენათ ტფ. მაზრისათვის საქ. სახკომსაბჭომ გადასდო 7 ათასი მანეთი, თანახმად ეკონომ. საბჭოს დადგენილებისა.

— **მოკლე ვადიანი კურსები.** საბჭოთა აღმშენებლობის თათბირმა გადასწყვიტა ტფილისში მოაწყოს მოკლე ვადიანი კურსები სათემო აღმასკომების მდივნების მოსამზადებლათ.

— **კულტურული მიზნებისთვის.** სანერგეების, საცდელი მინდვრების და სხვათა მოსაწყობათ მიწ. მოქმ. კომისარიატმა მთელ რესპუბლიკაში გამოყო 64 დესეტინა მიწა.

— **საბჭოთა აღმშენებლობის** თათბირმა მაზრებში დაგზავნა 17 პასუხისმგებელი მუშაკი საბჭ. ორგანოების მუშაობის შესასწავლად.

— **საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა** ქართული საალმშენებლო არტელის „შენებას“ წესდება.

— **შაქრის შემოტანა.** მიმდინარე საანგარიშო წლის 1-ლ მეოთხედში ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა 883 ათასი ფ. შაქარი.

— **სამალიარიო სადგურები** ამ ჟამად საქართველოში მუშაობს 7 სამალიარიო სადგური.

— **აგარაკებზე გაგზავნა.** საექიმო კომისიებმა 22 მაისამდე შეამოწმეს 1750 მუშა-მოსამსახურე აგარაკებზე გასაგზავნათ.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ავიო ტეხნიკის ახალი მიღწევა.**

ჯერ-ჯერობით არც ერთ ჰაეროპლანს, რომელიც თავისი სიმძიმით ნაკლებია მის მიერ დაკავებულ მოცულობის ჰაერზე, არ შესძლებია საგრძნობი მანძილის გადაფრენა. ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს ის ცნობა, რომ 1924 წ. 12 დეკემბერს მფრინავ ლორიგამ შესძლო, ესპანელ ინჟენერის ლიასიერვას მიერ ორიგინალური აპარატ „ავტოჟირით“ 12 კილომეტრი მანძილის ფრენით გავლა.

ამნაირად „ავტოჟირი“ პირველი აპარატი—არა ჰაეროპლანია მსოფლიოში, რომელმაც შესძლო ხანგრძლივი ფრენა.

ხსენებულმა ინჟენერმა თავისი აპარატების აგება დაიწყო 1920 წლიდან. ეს უკანასკნელი „ავტოჟირი რიგით მეექვსეა. ის წარმოადგენს მფრინავი ჰაერზე მძიმე ახალი სისტემის აპარატის სრულიად ახალ ტიპს. ის არა ჰგავს არც გელიკაპტიოს და არც ჰაეროპლანს.

ჰაერში ამსვლელი ძალა აპარატში მუშავდება ოთხი ფრთით, რომლებიც მოთავსებულია აპარატზე, რომლებიც ძლიერ წააგავენ ჩვეულებრივი ჰაეროპლანის ფრთებს. ისინი მოთავსებული არიან შვეული—ვერტიკალური მბრუნავი ღერძის გარშემო და ჰაეროპლანის ფრთებისაგან მით განსხვავდებიან, რომ ბორბალისებურად ბრუნავენ.

გელიკაპტიოსაგან კი მით განსხვავდება „ავტოჟირი“, რომ მოძრაობისათვის საჭირო ძალას ის მოტორის გარეშეც ღებულობს.

აპარატს აქვს სიღრმისა და მიმართულების საჭეები. მოთავსებულია მასზე 110 ცხენის ძალიანი მოტორი.

ავტოჟირი მიფრინავს ჰაერში და ძლიერ ადვილი მოსახმარია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფრთების ირგვლივ შა მოტრიალების სიჩქარე მიაღწევს წუთში 80-ს.

მისი ფრენის საშვალო სიჩქარე უდრის 150 კილომეტ[რს] საათში. ეს კი პირველი ღ[ი]რსებაა მისი, რადგანაც მას მგზავრობა გაცილებით უფრ[ო] საიმედოა, ვინემ ჰაეროპლანი[ს]

მეცნიერებმა გამოიანგარიშ[ეს] რომ ავტოჟირის მაქსიმალურ[ი] სიჩქარე თუ შემცირდება შ[ვი]დი მერვედით, მაშინ აპარა[ტს] შეეძლება პირდ-პირ-ვერტიკ[ა]ლურად დაეშვას ძირს.

ავტოჟირის გამძლეობა ... მოკიდებულია მისი ჰაერის მ... მართ გადადგინებაზე.

თუ ეს გადადგინება—სიჩქ[ა]რე შემცირდება განზრახუ[ლ] ნორმის ქვევით, მოხდება კ[ა]ტასტროფა.

ამ მხრივ ავტოჟირს ის უპ[ი]რატესობა აქვს, რომ თუ მ... ესპობა სიჩქარე, პირდაპირ შ[ე]უძლია დაეშვას ძირს, თავი[სი] მბრუნავი ფრთების შემწეობ[ით].

# აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 27.**

ერთ მგზავრს წინ შამოეყარა ბოში (ციგანი), რომე[ლ]მაც მისალმების შემდეგ ჰკითხა მგზავრს, რად მოგიწყ[ე]ნიაო.

— რამ უნდა გამახაროს, ძლიერ ცოტა ფული მაქვ[ს]... მიუგო მგზავრმა.

მე გიშველიო მიუგო ბოშმა.

რამდენჯერ გადახვალ იმ ხიდზე, შენი ფული იმდენჯ[ერ] გაორკეცდება, მხოლოდ ყოველ გადასვლაზე შემდეგ 8 [კა]პიკი მომეციო—დათანხმდა მგზავრი. გადავიდა ხიდზე პირვ[ე]ლად. გაუორკეცდა ფული. პირობისამებრ ბოშს გადასცა... კაპიკი, მეორედაც ასე მოიქცა, მაგრამ მესამე გადასვლ[ის] შემდეგ ბოშს რომ 8 კაპიკი მისცა, მას სრულიად აღარ[ა]ფერი დარჩა. რამდენი კაპიკი ჰქონია მას პირველად?

# პასუხი შეკითხვებზე

**კითხვა.** მიჭირავს ბინა 84 კვად. არშინი არე. 1924 წლ[ის] მარტიდან გადასახდელი მაქვს 45 მანეთი. ჯამაგი[რი] მეძლევა 90 მან. თვეში.

გთხოვთ მიპასუხოთ პირველ აპრილამდე რამდენი უნ[და] გადავიხადო?

ს. ლომიძე.

**პასუხი.** თქვენ ეკუთვნით არმიის პასუხისმგებელ მუშაკთა კ[ა]ტეგორიას.

ამიტომ გარდა კუთვნილი 30 კვ. არშ. ნება გაქვთ ... კვ. არშ. იქონიოთ კაბინეტათ.

კვადრატიულ არშინზე იხდით 10 კ. საერთო ჯამიდ[ან] კი გეკლებათ, როგორც წითელ არმიელს—25 პრო[ც].

# წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. რედაქტორო,**

ნება მომეცით ორიოდე სიტყვით განვმარტო გაზ. „წითელ არმიელის“ №108-ში ჩემ მიერ მოთავსებული წერილი, რომელსაც ასე სასტიკად ესხმის თავს შტაბ. უფროსის თანაშემწე ამხ. შონია.

ჩემს წერილში ვამბობდი, რომ სიღნაღის მაზრის კომისარიატში მიმაგრებული არიან სამი წითელ-არმიელი პირველი ლეგიონიდან, რომლებსაც ოთხი თვის განმავლობაში არ მიუღიათ არავითარი კმაყოფა და არც არავინ აქცევდა ყურადღებას მათ ასეთ მდგომარეობას. მე მხედველობაში არ მქონია შტაბის უფროსი ან მისი თანაშემწე ან სხვა ვინმე. მე ავღნიშნავდი ფაქტს და მიუთითებდი ყურადღება მიექციათ მისთვის. მე ვამტკიცებ რომ ხუთ მაისამდე მათ არაფერი არ მიუღიათ, გარდა ხო[ნ]ცისა და (იგი ალბად შემთხვ[ე]ვით) თუ ამის შემდეგ მიიღ[ეს] ზომები და დააკმაყოფილ[ეს] წითელ-არმიელები, ეს ... უარყოფს ჩემი წერილის ს[ი]მართლეს.

სადაც არ უნდა იყოს ... ვისი საშუალებითაც არ უნ[და] ეძლეოდეთ კმაყოფა-4 თვ[ის] განმავლობაში წითელ-არმი[ე]ლების ასე უპატრონოდ მიტ[ო]ვება დაუშვებელია.

რაც შეეხება იმას, რ[ო]როგორც პოლიტხელის ჩ[ემი] მოვალეობა იყო მემაცადი[ნე]ბია ისინი და არ მეწერა რ[ომ] მათ ვერ ამაცადინებენთქ[ო] ამაში არ ვედავები ამხანა[გს] მაგრამ საქმე იმაშია, რომ მ[ე] ამისთვის მოცალება არა აქ[ვს] და მეც ამაზე მიუთითებდი.

დ. ჭანკვეტაძე.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლ...



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.